რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის აღქმა, როგორც რუსი ადამიანებისადმი დამოკიდებულების პრედიქტორი ქართველ მონაწილეებში

თამარ ლუტიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ლუტიძე

02.06.2023

სარჩევი

შესავალი 1

1. ლიტერატურის მიმოხილვა 6

წინამდებარე კვლევა 13

2. მეთოდი.....14

2.1. მონაწილეები 14

2.2. პროცედურა.....14

2.3. დიზაინი.....14

2.4. ინსტრუმენტი.....15

2.4.1. რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური მდგომარეობების აღქმები…..15

2.4.2. დამოკიდებულება რუსებისადმი.....16

3. შედეგები.....17

3.1. აღწერითი მონაცემები და დემოგრაფიული ცვლადების მიმართება საკვლევ ცვლადებთან.....17

3.2. კითხვარების სანდოობის შემოწმება.....18

3.2.1. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის აღქმის კითხვარის სანდოობის შემოწმება.....18

3.2.2. რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური მდგომარეობის აღქმის კითხვარის სანდოობის შემოწმება.....18

3.2.3. რუსეთ-საქართველოს და რუსეთ უკრაინის პოლიტიკური მდგომარეობის აღქმის კითხვარების (გაერთიანებული) სანდოობის შემოწმება.....19

3.3. ჰიპოთეზების შემოწმება.....19

4. შედეგების განხილვა.....22

5. დასკვნა და სამომავლო მიმართულებები.....27

გამოყენებული ლიტერატურა.....29

აბსტრაქტი

რუსეთ-უკრაინასა და რუსეთ-საქართველოს შორის ისტორიის მანძილზე არაერთი დაპირისპირება მომხდარა. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ქართველ მოსახლეობას განუახლა ის ჭრილობები, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომს უკავშირდება. წინამდებარე კვლევამ, კორელაციური დიზაინის გამოყენებით, სწორედ ეს მოვლენები მოაქცია ფოკუსში. უფრო კონკრეტულად, 205 ქართველ რესპონდენტთან ნაკვლევი იყო როგორც რუსეთ-საქართველოს, ისე რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური მდგომარეობის აღქმები და რუსებისადმი დამოკიდებულებები. ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორიისა და ისტორიული გამოცდილების, როგორც წინარწმენის ერთ-ერთი ამხსნელი ფაქტორის, გათვალისწინებით, ნავარაუდევი იყო, რომ რუსეთ-საქართველოს და რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური მდგომარეობის მწვავედ აღქმა რუსებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებასთან იქნებოდა ასოცირებული. ვარაუდი, ნაწილობრივ, გამართლდა: რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის მწვავედ აღქმა რუსებისადმი ცივ დამოკიდებულებებს დაუკავშირდა, თუმცა კავშირი სუსტი იყო; რაც შეეხება რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური სიტუაციის მწვავედ აღქმას, ამ შემთხვევაში რუსებისადმი დამოკიდებულებასთან მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლენილა. აღნიშნული შედეგები, მეტწილად, განპირობებული იყო დაბალი ცვალებადობით სამივე ცვლადის ქულებში: რესპონდენტები უკიდურესად მწვავედ აფასებდნენ რუსეთ-საქართველოს და რუსეთ-უკრაინის პოლიტიკურ მდგომარეობას და უკიდურესად ცივ დამოკიდებულებებს ავლენდნენ რუსების მიმართ. ამავე დროს, მოსალოდნელად, ძლიერი დადებითი კავშირი გამოიკვეთა რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის პოლიტიკური მდგომარეობის აღქმებს შორის. ნაშრომში მიღებული შედეგებია განხილული.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დამოკიდებულება, რუსეთი, უკრაინა, საქართველო, ომი, პოლიტიკური მდგომარეობის აღქმა, ჯგუფთაშორისი საფრთხის თეორია.

Abstract

Numerous conflicts have taken place between Russia and Ukraine and Russia and Georgia throughout history. Russia's invasion of Ukraine has renewed traumas of Georgian people that are connected to the August War of 2008. Using correlational design, the present paper is focused on these events. Specifically, the study explored the perceptions of both Russian-Georgian and Russian-Ukrainian political situation, and attitudes towards Russian people among 205 respondents in Georgia. Leaning upon Intergroup Threat Theory (ITT) and historical experience as one of the sources of prejudice, it was hypothesized that perceiving Russian-Georgian and Russian-Ukrainian political relations as tense would be associated with negative attitudes towards Russians. The hypothesis was partly supported: Perceiving Russian-Georgian political situation as tense was related with unfavorable attitudes towards Russian, albeit the relationship was weak; as for perceiving Russian-Ukrainian situations as tense, no statistically significant correlation was found between the latter and attitudes towards Russians. The findings, mostly, can be attributed to the low variability in the scores of all three variables: Respondents assessed Russian-Georgian and Russian-Ukrainian political situation as extremely tense and expressed extremely cold attitudes towards Russian. At the same time, not surprisingly, strong positive relationship was found between perceptions of Russian-Georgian and Russian-Ukrainian political situation. The results are discussed in the paper.

Keywords: Attitudes, Russia, Ukraine, Georgia, war, perception of political situation, intergroup threat theory.